შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ.

ივლისი 2026, მარნეული

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა

კვლევის მიზნები:

- ❖ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლებლით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
- ❖ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მთავარი ამოცანები:

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;
- კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;
- კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;
- პროფესიული მასწავლებლის შეფასება;
- სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მეთოდოლოგია

სამიზნე ჯგუფი: კვლევის განხორციელების მომენტისთვის კოლეჯის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები

კვლევის მეთოდი: რაოდეობრივი.

კვლევის ინსტრუმენტები : რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი.

საკვლევი თემის აქტუალობა.

- თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი სულ უფრო მეტად იზრდება. გლობალური და ადგილობრივი გამოწვევების ფონზე, ასეთი დაწესებულებები ვალდებულნი არიან იყვნენ კონკურენტუნარიანნი, სრულად აკმაყოფილებდნენ სახელმწიფო სტანდარტებს და, ამავდროულად, პასუხობდნენ როგორც დამსაქმებლების, ასევე სტუდენტების საჭიროებებსა და მოლოდინებს.
- შპს „მარნეულის კოლეჯი“ ამ პასუხისმგებლობას სრულად აცნობიერებს და მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე. კოლეჯის მიზანია, სტუდენტებისთვის შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ ზრდას, თვითრეალიზაციას და შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციას. ამ მიზნით, კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას.

შერჩევა

კვლევის ჩასატარებლად ცდის პირების შერჩევა განხორციელდა კოლეჯის მონაცემთა ბაზიდან, იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც ჰქონდათ აქტიური სტატუსი 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 140 სტუდენტმა.

კვლევის ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, თითოეული პროგრამიდან მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მინიმუმ 60%-მა.

კვლევის ინსტრუმენტი განთავსებული იყო ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის Google Drive-ზე და მისი შევსება განხორციელდა ელექტრონულად. კვლევის პროცესს ხელმძღვანელობდა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კვლევის მონაცემები

- კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ასაკობრივი მაჩვენებელი იყო 17-დან 71 წლამდე.
- 15-დან 25 წლამდე სტუდენტთა რაოდენობა 62-ია.
- 26 და 35 წლამდე სტუდენტთა რაოდენობა 40-ია.
- 36-45 წლამდე სულ 28 სტუდენტია
- 46 წლიდან ზემოთ სწავლობს 10 სტუდენტი

გენდერული განაწილება

რაც შეეხება სქესობრივ განაწილებას კოლეჯის გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა - 125 სტუდენტი მდედრობითი, ხოლო 15 სტუდენტი მამრობითი სქესის წარმომადგენელია.

ასაკობრივი კატეგორია	2023–2024 სასწ. წელი	2024–2025 სასწ. წელი	2025–2026 სასწ. წელი	დინამიკა/ ტენდენცია (ბოლოწელთან)
17–25წწ. (ახალგაზრდები)	85 სტუდენტი	78 სტუდენტი	62 სტუდენტი	ასაკის კლება
26–35წწ. (საშუალო ასაკი)	62 სტუდენტი	67 სტუდენტი	40 სტუდენტი	ასაკის კლება
36+ წწ. (უფროსი ასაკი)	44 სტუდენტი	37 სტუდენტი	38 სტუდენტი	მცირე ზრდა
ჯამი (გამოკითხულები)	191 სტუდენტი	186 სტუდენტი	140 სტუდენტი	აქტიური კონტინგენტის 60%+

სტუდენტთა ასაკობრივი დინამიკის შედარებითი ანალიზი

დასაქმების მაჩვენებელი

სულ გამოკითხული სტუდენტი: 140
დასაქმებული: 63
დაუსაქმებელი: 77
პროცენტული მაჩვენებელი: სტუდენტთა 54% არ არის დასაქმებული, ხოლო 46% დასაქმებულია.

დაუსაქმებლობის ძირითადი მიზეზები:

- ვაკანტური ადგილების სიმცირე – 29%
- შრომასთან შეუსაბამო/არადამაკმაყოფილებელი ხელფასი – 28%
- სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა – 28%
- საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის შორის დიდი მანძილი (მოუხერხებელი მდებარეობა) – 27%
- არადამაკმაყოფილებელი ან შეუთავსებელი სამუშაო გრაფიკი – 19%
- არასაკმარისი კვალიფიკაცია – 17%



სასწავლო წელი	გამოკითხულთა საერთო რაოდენობა	დასაქმებული სტუდენტები (რაოდენობა)	დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი	დასაქმების ძირითადი ბარიერები (სტუდენტთა შეფასებით)
2024–2025	186	98	53%	სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა.
2025–2026	140	63(პროფილურად 31)	45%	დაბალი ანაზღაურება, ტრანსპორტირება/ მანძილი, გამოუცდელობა.

დასაქმების დინამიკა და ბარიერები (წლების მიხედვით)

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

სტუდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ, თუ რა გზით მიიღეს ინფორმაცია შპს მარნეულის კოლეჯის შესახებ. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტიანი წყარო სოციალური ქსელებია, რასაც მოჰყვება სამეზობლო, თემის წარმომადგენლები, თანატოლები და სკოლის წარმომადგენლები. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ კოლეჯის საინფორმაციო კამპანიები ეფექტიანად იყენებს როგორც ციფრულ, ისე საზოგადოებრივ საკომუნიკაციო არხებს, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებას რეგიონში.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

ინფორმაციის მიღების წყაროების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება შემდეგია:

- სოციალური ქსელები – 69 სტუდენტი (49.3%)
- სამეზობლო და თემის წარმომადგენლები – 22 სტუდენტი (15.7%)
- თანატოლები/სოციუმი – 22 სტუდენტი (15.7%)
- სკოლის წარმომადგენლები – 21 სტუდენტი (15.0%)

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტების 90%-ზე მეტი იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღების გზად დასახელდა: კოლეჯის ვებ-გვერდი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კოლეჯში არსებული საინფორმაციო დაფა და სხვ.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება



ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 92%-ზე მეტი სტუდენტი ინფორმირებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობების, ასევე აღდგენის წესებისა და სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

საინფორმაციო-სამართლებრივი კუთხით, სტუდენტებისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა მათი უფლებების გაცნობა (94 პასუხი) და სასწავლო პროცესის შეფასების სისტემის განმარტება (93 პასუხი).

ამასთანავე, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაადასტურა, რომ გაეცნო სტუდენტის ქცევისა და ეთიკის ნორმებს (89 პასუხი), უსაფრთხოების წესებს (86 პასუხი) და კოლეჯში არსებულ სერვისებს (84 პასუხი).

შედარებით დაბალი, თუმცა მაინც საგულისხმო მაჩვენებლები დაფიქსირდა დაწესებულების სტრუქტურის გაცნობისა (76 პასუხი) და უშუალოდ შენობის დათვალიერების (75 პასუხი) მიმართულებით.

მიღებული სურათი აჩვენებს, რომ კოლეჯის მიერ ორგანიზებული საორიენტაციო შეხვედრები წარმატებით ფარავს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა საბაზისო, აკადემიურ და ორგანიზაციულ საკითხს.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ საორიენტაციო პერიოდი საკმაოდ ინტენსიური და მრავალმხრივი იყო. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ადმინისტრაციასთან საინფორმაციო შეხვედრების ნაწილში, რაც 107-მა რესპონდენტმა აღნიშნა. ასევე მაღალი ჩართულობით ხასიათდებოდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (100 სტუდენტი) და პროგრამის ხელმძღვანელებთან (93 სტუდენტი), რაც ხაზს უსვამს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას პირველსავე ეტაპზე. საინფორმაციო-სამართლებრივი კუთხით, სტუდენტებისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა მათი უფლებების გაცნობა (94 პასუხი) და სასწავლო პროცესის შეფასების სისტემის განმარტება (93 პასუხი). ამასთანავე, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაადასტურა, რომ გაეცნო სტუდენტის ქცევისა და ეთიკის ნორმებს (89 პასუხი), უსაფრთხოების წესებს (86 პასუხი) და კოლეჯში არსებულ სერვისებს (84 პასუხი). შედარებით დაბალი, თუმცა მაინც საგულისხმო მაჩვენებლები დაფიქსირდა დაწესებულების სტრუქტურის გაცნობისა (76 პასუხი) და უშუალოდ შენობის დათვალიერების (75 პასუხი) მიმართულებით.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

ჩარიცხვის შემდგომი აქტივობები სტუდენტებისთვის



კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

მონაცემები აჩვენებს, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს (93 რესპონდენტი) უკვე აქვს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ დასაქმების აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება, ხოლო 47-ს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა ჯერ არ მიუღია. ამასთანავე, სამომავლო ინტერესი კიდევ უფრო მაღალია - 122 სტუდენტი გამოთქვამს მზაობას, ჩაერთოს კარიერულ შეხვედრებში, და მხოლოდ 18 არ ინტერესდება ამით.



კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

კოლეჯის მიერ ორგანიზებული კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების სამწლიანი მონაცემების შედარება მკაფიო ტენდენციებს გამოკვეთს. დადებითი დინამიკის კუთხით, სტაბილურად მაღალია სტუდენტთა ინფორმირებულობა და თავად კოლეჯის აქტივობა:

- 2024 წელს 109 სტუდენტმა (90%) იცოდა ღონისძიებების შესახებ,
- 2025 წელს ეს რიცხვი 181-მდე გაიზარდა,
- 2026 წელს რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (128 სტუდენტი) დაადასტურა არაფორმალური აქტივობების განხორციელება.

რაც შეეხება სტუდენტთა უშუალო ჩართულობას, აქ აშკარა პოზიტიური ზრდა შეინიშნება: 2024 წელს ღონისძიებებში რეალურად მხოლოდ 36 სტუდენტი მონაწილეობდა, 2025 წელს ეს მაჩვენებელი გამოკითხულთა 53%-მდე გაიზარდა, ხოლო 2026 წელს აქტიური მონაწილეების რაოდენობამ 78 სტუდენტს მიაღწია.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

- გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები მაღალი ინფორმირებულობით გამოირჩევიან კოლეჯში არსებული უკუკავშირის მექანიზმების შესახებ და ზუსტად იციან, რა არხებით არის შესაძლებელი საკუთარი შეხედულებების ადმინისტრაციამდე მიტანა.
- სტუდენტებმა მკაფიოდ იციან, რომ შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს (83 პასუხი) ან შეხვდნენ კოლეჯის ადმინისტრაციას (83 პასუხი). ამასთან ერთად, ისინი აზრის გამოთქმის კარგ ალტერნატივად მიიჩნევენ პერიოდულ გამოკითხვებს (58), ინიციატივების ოფიციალურ წარდგენას (52) და შენობაში განთავსებულ ყუთს „სტუდენტის ხმა“ (42). ციფრული არხების ნაწილში კი სტუდენტები თანაბრად იცნობენ კოლეჯის სოციალურ ქსელებს (45) და ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას (43).

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

კვლევის ფარგლებში ასევე დგინდება, თუ რა მოლოდინები ჰქონდათ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე და გაუმართლდათ თუ არა მათ ეს მოლოდინები.

შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტთა უმრავლესობისთვის მთავარი პრიორიტეტი გარემო და სწავლების ხარისხია: 74 სტუდენტს ჰქონდა მოლოდინი, რომ დახვდებოდა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. 29 სტუდენტი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა საკუთარი პროფესიით დასაქმებას. 24 სტუდენტი ელოდა, რომ მიიღებდა პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას და შეიძენდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ხოლო 10 სტუდენტისთვის კი მთავარი მოლოდინი კეთილმოწყობილი სასწავლო სივრცე იყო.



საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

პროფესიული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა 134 სტუდენტი სრულად არის ინფორმირებული თავისი სასწავლო გეგმის შესახებ;



საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- პროფესიული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა 134 სტუდენტი სრულად არის ინფორმირებული თავისი სასწავლო გეგმის შესახებ;
- პროგრამის მენეჯმენტისა და სტრუქტურული დაგეგმარების კუთხით სტუდენტები ადასტურებენ, რომ სასწავლო მოდულების ლოგიკური ჯაჭვი (თუ რომელი მოდული უნდა გაიარონ საწყის ეტაპზე და რომელი შემდგომ) სწორად და თანმიმდევრულად არის დალაგებული. არსებული საგაკვეთილო განრიგი რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მისაღებია.
- გამოკითხული 140 სტუდენტიდან 138 ცალსახად ადასტურებს, ხოლო უშუალოდ ადმინისტრაციის თანამშრომელთა მუშაობას 10-ბალიან შკალაზე რესპონდენტთა უმრავლესობა-116 სტუდენტი უმაღლესი, 10 ქულით აფასებს (დამატებით 10 სტუდენტი მიუთითებს 9 ქულას, 8 სტუდენტი-8 ქულას, ხოლო მხოლოდ 3 სტუდენტი -7 ქულას).


პროგრამის შინაარსის შეფასება
160
140
120
100
80
60
40
20
0
პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების...
პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების...
პროგრამა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც...
პროგრამაში შემავალი ყველა საგანლექციაზე მოდელი...
მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის...
ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა ოპტიმალურია
ჩემთვის არსებული ცხრილი მისაღებია
პროგრამის ყველა სტუდენტს შეუძლია პროგრამით...
პროგრამა ზე ისეთი სტუდენტები მოხვდნენ,...
ვეთანხმები
არ ვეთანხმები
ნაწილობრივ ვეთანხმები

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- პროფესიული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა 134 სტუდენტი სრულად არის ინფორმირებული თავისი სწავლების ხარისხის 10-ბალიანი შეფასებისას, სადაც გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (113 სტუდენტი) სასწავლო პროცესს კვლავ მაქსიმალური, 10 ქულით აფასებს, 12 რესპონდენტი ანიჭებს 9 ქულას, 8 სტუდენტი-9 ქულას, 7 ქულას-4 სტუდენტი, ხოლო მინიმალური შეფასება (6 ქულა) მხოლოდ 2 რესპონდენტის მიერ დაფიქსირდა.
- 137 სტუდენტის შეფასებით, სასწავლო მოდულების ფარგლებში შერჩეული დავალებები თავისი სირთულითა და მოცულობით სრულად შეესაბამება მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

პროფესიული მასწავლებლის შეფასება

- სტუდენტთა უმრავლესობა (93-95%) სრულად კმაყოფილია სასწავლო პროცესის ორგანიზებით მიზნების გაცხადება, პედაგოგების დროულობა და მასალებით უზრუნველყოფა (130-138 სტუდენტი)
- სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკული კომპონენტი მაღალ დონეზეა წინარე ცოდნის აქტუალიზაცია, მასალის ადაპტირებული ახსნა, დემონსტრირება და მონიტორინგი (130-134 სტუდენტი)
- უკუკავშირი ეფექტურია 135 კმაყოფილია შეცდომების ახსნით, 128 დროის სამართლიანი განაწილებით
- გასაუმჯობესებელი მიმართულებები ურთიერთშეფასება (დებ. 17) და ინდივიდუალური მითითებები (დებ. 19), სადაც შედარებით მეტია ნეიტრალური პასუხი
- რეკომენდაცია პედაგოგთა ტრენინგები ინოვაციური მეთოდებისა და კოლეგიური განხილვის გასაძლიერებლად

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სტუდენტთა შეფასების პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და მოქმედი რეგულაციების დაცვას. 140 პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა მაღალი სანდოობით ხასიათდება.
- რესპონდენტთა თითქმის სრული უმრავლესობა (139 სტუდენტი) მიიჩნევს, რომ შეფასების სისტემა სრულად უზრუნველყოფს მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოვლენას, ხოლო 137 სტუდენტი შეფასების ფორმებსა და მეთოდებს ობიექტურად აფასებს. მხოლოდ 3 რესპონდენტმა გამოხატა განსხვავებული მოსაზრება, რაც შეფასების პროცესისადმი ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.
- კვლევის მიხედვით, 122 სტუდენტი იცნობს შეფასების შედეგების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურებს, ხოლო 18 რესპონდენტს აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს.
- ამასთან, რესპონდენტთა 98% ადასტურებს, რომ მასწავლებლები შეფასების თარიღის, ფორმის, ხანგრძლივობისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციას წინასწარ აწვდიან. ეს შედეგი მიუთითებს, რომ შეფასების პროცესი სტუდენტებისთვის გამჭვირვალე, თანაბარი და პროგნოზირებადია (იხ. დიაგრამა N6 – შეფასების პირობების გამჭვირვალობა).


შეფასების პირობების გამჭვირვალობა
ვეთანხმები
არ ვეთანხმები
ნაწილობრივ ვეთანხმები
160
140
120
100
80
60
40
20
0
მასწავლებელი ერთი კვირით ადრე გვაცნობს შეფასების განხორციელების თარიღს
მასწავლებელი წინასწარ გვაცნობს შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა/პრაქტიკული
მასწავლებელი წინასწარ გვაცნობს გამოცდის ხანგრძლივობას
მასწავლებელი წინასწარ გვაცნობს შეფასების სქემას (ხარვეზების დასაშვები ნორმა რა შემთხვევაში დაუდასტურდება სწავლის შედეგი ან შედეგები
მასწავლებელი წინასწარ გვაცნობს განმეორებითი შეფასების თარიღს და სხვა პროცედურებს

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

- კითხვაზე-„ხართ თუ არა უზრუნველყოფილი სასწავლო მასალით?“ გამოკითხული 140-ვე სტუდენტი (100%) პასუხობს „დიახ“. სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფილია საჭირო პრაქტიკული აღჭურვილობით.
- კითხვაზე „ხართ თუ არა უზრუნველყოფილი სასწავლო აღჭურვილობით?“138 სტუდენტი პასუხობს „დიახ“, ხოლო 2 სტუდენტი მიიჩნევს, რომ არ არის უზრუნველყოფილი. 139 სტუდენტი ადასტურებს რომ საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფილი არიან.
- რაც შეეხება ხელმისაწვდომია თუ არა ყველა მოდულის სწავლების ფარგლებში დამატებითი ლიტერატურა/მასალა, 137 სტუდენტინ ადასტურებს რომ დიახ უზრუნველყოფილი არიან.
- სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის (სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები, ლაბორატორია, კომპიუტერი და სხვ.) კომპლექსური შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 10-ბალიანი შკალა.

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

ბოლო სამი წლის (2024–2026 წწ.) არსებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ კოლეჯში სასწავლო რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვა ეფექტურად ხორციელდება. 2024 წელს სტუდენტების მიერ დაფიქსირებული მცირე შენიშვნები (პრაქტიკული მასალების ნაკლებობაზე) კოლეჯმა წარმატებით აღმოფხვრა, რამაც 2025 და 2026 წლებში კმაყოფილების მაჩვენებლის მაქსიმალურ ნიშნულამდე 100%-მდე გაზრდა უზრუნველყო.

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

სტუდენტებისთვის რესურსების ხელმისაწვდომობის



კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

- გათბობა -სტუდენტების 81% ცივ ამინდში გათბობას 10 ქულით აფასებს;
- სისუფთავე - სტუდენტების 99.5% სანიტარულ ნორმებს 10 ქულით აფასებს;
- უსაფრთხოება - სტუდენტთა 100% თვლის, რომ სასწავლო პროცესის დროს და ზოგადად კოლეჯში უსაფრთხოების ნორმები დაცულია; 183 სტუდენტი კარგად იცნობს ამ წესებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მათი გამოყენება;
- ბიბლიოთეკა - სტუდენტთა 75% სარგებლობს ბიბლიოთეკის რესურსით, მათგან 72% კმაყოფილია მომსახურებით ;
- კომპიუტერები -154 სტუდენტის შეფასებით, კოლეჯში არსებული კომპიუტერები გამართულად მუშაობს;
- ინტერნეტი -162 სტუდენტი ადასტურებს შენობაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობას;
- IT მხარდაჭერა - 171 სტუდენტი ეთანხმება, რომ საჭიროებისამებრ IT სპეციალისტის დახმარება ხელმისაწვდომია;
- პროექტორი/პრინტერი - 172 სტუდენტი ადასტურებს სასწავლო პროცესში პროექტორისა და პრინტერის ხელმისაწვდომობას;
- ვებ-გვერდი - გამოკითხულთა 97% კმაყოფილია კოლეჯის ვებ-გვერდით, 92% კმაყოფილია ვებგვერდის ნავიგაციით;
- სოციალური ქსელები - გამოკითხულთა 97% კმაყოფილია Facebook-ითა და სხვა სოციალური ქსელებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

- კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კოლეჯი პასუხისმგებლობით უდგება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
- სტუდენტების უმრავლესობას (82 სტუდენტი) სწავლის პროცესში სპეციალური გეგმა არ დასჭირვებია. იმ სტუდენტებში, ვისთვისაც დადგა ეს საჭიროება, კოლეჯმა მაქსიმალური მხარდაჭერა გამოავლინა. გამოკითხულთა უმრავლესობა (80 სტუდენტი) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა სრულად მათ საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
- პროცესის გამჭვირვალობაზე მიუთითებს ისიც, რომ სტუდენტების უმეტესობა (78 რესპონდენტი) უშუალოდ იყო ჩართული საკუთარი გეგმის შედგენაში. ხოლო სტუდენტთა ის ნაწილი (38%), ვინც მიუთითა, რომ დაწესებულებას მათთვის გეგმა არ შეუმუშავებია, წარმოადგენს იმ ჯგუფს, ვისაც აღნიშნული სერვისის საჭიროება რეალურად არ ჰქონია. მიღებული შედეგები ლოგიკურად ადასტურებს, რომ მარნეულის კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საკითხი გამართულად მუშაობს.

დასკვნა

- მარნეულის კოლეჯის 2025-2026 წასწავლო წლის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 140-მა აქტიურმა სტატუსის მქონე სტუდენტმა, რომელთა უმრავლესობაც ქალბატონია. მიღებული პასუხები აჩვენებს, რომ კოლეჯი სტუდენტებზე ორიენტირებულ მიდგომას ინარჩუნებს და ბოლო 3 წლის მუშაობა კარგ შედეგს იძლევა. ანგარიშის მიხედვით, კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარე ინფორმაციის სწორი და დროული გავრცელებაა. მრავალეთნიკურ რეგიონში სტუდენტთა 90%-ზე მეტმა ზუსტად იცის კოლეჯის მისია, წესები და საკუთარი უფლებები. მათ კარგად იციან, ვის მიმართონ სასწავლო განრიგის, შეფასებების თუ პრაქტიკული მეცადინეობების საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა ხასიათდება მაღალი სანდოობითა და გამჭვირვალობით, ხოლო სასწავლო რესურსებით, ძირითადი მასალებითა და ლიტერატურით უზრუნველყოფის მაჩვენებელი, 2024 წელს დაფიქსირებული მცირე ხარვეზების გამოსწორების შემდეგ, მიმდინარე წელს მაქსიმალურ, 100%-იან ნიშნულამდე გაიზარდა.

დასკვნა

- ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის ინფრასტრუქტურა, სადაც გათბობის სისტემა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უსაფრთხოების მდგომარეობა იდეალურად ფასდება, ხოლო ბიბლიოთეკის მომხმარებლები წიგნის ფონდით სრულიად კმაყოფილია.
- ციფრული პლატფორმები, ვებგვერდის ნავიგაცია, კომპიუტერული ტექნიკა და IT მხარდაჭერა შეუფერხებლად მუშაობს, რაც სტუდენტებში აბსოლუტურ ნდობას იწვევს და 140-დან 139 რესპონდენტი ხელახალი არჩევანის შემთხვევაში კვლავ უპირობოდ აირჩევდა მარნეულის კოლეჯს.
- შპს მარნეულის კოლეჯი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს პასუხობს, ხოლო გამოვლენილი ხარვეზები სისტემურ ხასიათს არ ატარებს და ადვილად გამოსასწორებელი ხასიათისაა.

რეკომენდაციები

- სასურველია კოლეჯმა გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნესებთან და მოაწყოს შიდა დასაქმების ღონისძიებები.
- მასწავლებლების მუშაობის მიმართ სტუდენტთა კმაყოფილების შესანარჩუნებლად, პედაგოგებმა მეტი ყურადღება დაუთმონ თითოეული სტუდენტის საჭიროებებს, პირადად აჩვენონ მათი ძლიერი მხარეები და მისცენ კონკრეტული რჩევები ხარვეზების გამოსასწორებლად. ამასთანავე, სასწავლო პროცესში ხშირად გამოიყენონ ერთმანეთის შეფასების მეთოდი, რაც სტუდენტებს გუნდური მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარს განუვითარებს.
- პედაგოგებისთვის დაიგეგმოს შიდა ტრენინგები/ვორქშოფები კლასის მართვის, სტუდენტთა მოტივაციისა და ინოვაციური მეთოდების (მაგალითად, სიმულაციური თამაშების) აქტიურად გამოყენების მიმართულებით.
- სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სტუდენტების ინტერესის გათვალისწინებით, დაიგეგმოს გაცნობითი ხასიათის სემინარი ან სასწავლო ვიზიტი მონტესორის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- არაფორმალური ცხოვრების გასააქტიურებლად და ნაკლებ აქტიური სტუდენტის ჩასართავად, სასურველია წინასწარ შესწავლილ იქნას სტუდენტურ საქმეთა კოორდინატორის მიერ ინტერესები და მოეწყოს ისეთი შიდა ჩემპიონატები, გამოფენები და ექსკურსიები, რომლებიც მათ პირად ინტერესებს პასუხობს.
- კოლეჯის ხელმძღვანელობამ განიხილოს სასწავლო სივრცეში კვების ობიექტის/კაფეტერიის მოწყობის საკითხი.
- ვინაიდან უმეტეს მიმართულებაში კმაყოფილების დონე 2025-2026 სწასავლო წლისთვის 90%-ს აღემატება, რეკომენდებულია არსებული კარგი პრაქტიკის პერიოდული მონიტორინგი, რათა მიღწეული მაღალი სტანდარტი უცვლელად შენარჩუნდეს.